



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იმერეთის აჯანყება

იმერეთის აჯანყება 1810, ბრძოლა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის.

აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუს. მთავრობამ დაიწყო მოქმედება იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი შეერთებისათვის რუსეთის იმპერიასთან. სოლომონ II რუს. მთავრობას 1804 ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულებას სთხოვდა. 20 თებერვალს ქუთაისში გამოქვეყნდა ბრძანება სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთში რუს. მმართველობის შემოღების შესახებ. ცარიზმის მოხელეებმა მოტყუებით ჩაიგდეს ხელში სოლომონ II და უცდიდნენ იმპერატორის ბრძანებას მისი პეტერბურგში გადასახლების შესახებ, მაგრამ მეფემ თავისი მომხრეების დახმარებით მოახერხა გაქცევა და თავი ახალციხის საფაშოს შეაფარა. აქედან მან აჯანყებისაკენ მოუწოდა იმერეთის მოსახლეობას, რ-თა უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. რუსი მოხელეები, ისე როგორც აღმ. საქართველოში, აქაც იძულების წესით მოითხოვდნენ გლეხებისაგან სურსათს, გადაზიდვის საშუალებებს და სხვ. სამსახურს. უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც, რ-იც პრივილეგიებს კარგავდა. იმერეთში სახალხო-განმათ. ბრძოლა გაჩაღდა. თბილისიდან რუს. მთავრობამ გაგზავნა 3200 კაცისაგან შემდგარი ჯარი, რ-იც 2 ნაწილად გაიყო და იმერეთს შეესია. ამ ჯარის ერთი ნაწილი აჯანყებულებმა საზღვართან დაამარცხეს. შემდეგ იმერეთისაკენ ახ. ჯარით დაიძრა გენ.-ლ. ბარონი როზენი. მან ჩხერის ციხესთან დაამარცხა 5 ათ. კაცისაგან შემდგარი იმერთა ჯარი და ქუთაისს მიადგა. გენერალთან მივიდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები – დადიანი და გურიელი. თვითმპყრობელობის მხარეზე გადავიდა იმერეთის ფეოდალთა ერთი ნაწილი. სოლომონ II ერთხანს ხანისწყლის ხეობაში გამაგრდა, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და სექტ. მიწურულს იძულებული გახდა ისევ ახალციხის საფაშოსათვის შეეფარებინა თავი. იმერეთში სამეფო გააუქმეს და რუს. მმართველობა შემოიღეს.

წყარო: კაკაბაძე ს., იმერეთის სამეფოს გაუქმება (პუბლიკაცია), «საისტორიო მოამბე», 1956, N9.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად), მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 4, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნარსია
